

თამარ ჭავჭავაძე

საქართველოს სახალხო არტისტი თამარ ირაკლის ასული ჭავჭავაძე დაიბადა 1896 წლის 16 ოქტომბერს სოფელ ყვარელში, შეძლებული მემამულის ოჯახში. 1903 წელს პატარა თამარი თელავის სკოლაში შეიყვანეს, აქვე ავიდა იგი პირველად სცენაზე. ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწეებმა ბაბო და ტასო როსტომაშვილებმა სკოლაში დადგეს საბავშვო პიესა „ქონდრისკაცები“. ამ სპექტაკლში თამარი ასრულებდა ქონდრისკაც ტუკის როლს.

1906 წლიდან ირაკლი ჭავჭავაძის ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და თამარიც მიაბარეს წმინდა ნინოს სასწავლებელში, რომელიც 1914 წელს დაამთავრა. იმავე წელს შედის ქალთა ორწლიან კერძო კურსებზე, ისტორიულ-ფილოლოგიური განხრით. 1915 წელს სწავლას აგრძელებს ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლობს პ. ლებედინსკის თეატრალურ სტუდიაში. 1919 წელს ბრუნდება თბილისში და იწყებს მუშაობას მასწავლებლად უსინათლოთა სასწავლებელში. იმავე წელს შედის ნ. მიხაილოვსკის რუსულ თეატრალურ სტუდიაში. 1920 წელს აგრძელებს სწავლას ნ. ხოდოტოვის თეატრალურ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს. ამავე წლის ივნისში თამარ ჭავჭავაძე ჩაირიცხა მსახიობად ქართულ დრამატულ თეატრში.

პირველი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც თამარ ჭავჭავაძემ განასახიერა შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე, ეს იყო ლაურენსია ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროში“, რომლის პრემიერა გაიმართა 1922 წლის 25 ნოემბერს. ეს იყო არნახული წარმატება როგორც თამარ ჭავჭავაძისა, ისე რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის და აგრეთვე ქართული თეატრისა.

სწორედ ამ დღესასწაულის მონაწილენი დოდო ანთაძე და უშანგი ჩხეიძე აღნიშნავენ: „ვინ იცის, ერგებოდა თუ არა წილად „ცხვრის წყაროს“ ესოდენ დიდი წარმატება, ლაურენსიას როლის შემსრულებელი თამარ ჭავჭავაძე რომ არ ყოფილიყო, თუმცა ქართული თეატრის აღორძინებას წარმართავდა დიდი კოტე მარჯანიშვილის გენია“; „თამარ ჭავჭავაძეს წილად ხვდა ყოფილიყო ქართულ თეატრში მარჯანიშვილის პირველი დადგმის მებაირახტრე. მან ღირსეულად აიტანა ქართული თეატრის დროშა იმ მწვერვალამდე, რომელსაც მიაღწია ამ თეატრმა მაშინ, 1922 წლის 25 ნოემბერს“.

თამარ ჭავჭავაძის მიერ განსახიერებული როლებიდან 1928 წლამდე რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე აღსანიშნავია: სალომეა – ოსკარ უაილდის „სალომეა“, პეგინ მაიკი – ჯონ სინგის „გმირი“, ლამარა – ვაჟა ფშაველას ნაწარმოებების მიხედვით „ლამარა“, ნინგალ უმი – ა. გლეზოვის „ზაგმუკი“, მერი – ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ“, ტატიანა – ბორის ლავრენევის „რღვევა“ და სხვ.

1928 წელს თამარ ჭავჭავაძე გადადის სამუშაოდ კოტე მარჯანიშვილის ახალჩამოყალიბებულ ქუთაის-ბათუმის მეორე სახელმწიფო თეატრში. 1930 წლიდან მსახიობი ბრუნდება თბილისში თეატრის დედაქალაქში გადმოტანის გამო. ამ თეატრს ენიჭება კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სახელი. ამ პერიოდში განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: გულთამზე – პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, ბეატრიჩე – პერსი ბიში შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“, მირიამი – გერცელ ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ლედი მილფორდი – ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“, კატრინი – ვიქტორიენ სარდუსა და ალბერ მოროს „მადამ სან ჟენი“, თამარი – უშანგი ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“, მარგარიტა გოტიე – ალექსანდრ დიუმას „მარგარიტა გოტიე“ და სხვ. 1930 წელს თამარ ჭავჭავაძე მონაწილეობს ქართული თეატრის პირველ საგასტროლო მოგზაურობაში მოსკოვსა და ხარკოვში. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შემოქმედებით აღმავლობასა და აქტიურულ პროფესიონალიზმს მიაღწია, მან 1942 წელს დატოვა ეს თეატრი და რუსთაველის სახელობის თეატრს დაუბრუნდა. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში თამარ ჭავჭავაძემ ამ თეატრის სცენაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი სახეები შექმნა, როგორიცაა: დიანა – ლოპე დე ვეგას „სხვისთვის სულელი, თავისთვის ჭკვიანი“, ზეინაბი – ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატი“, ემილია – უილიამ შექსპირის „ოტელო“, მამაევა – ალექსანდრ ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“, ქეთევანი – ალექსანდრე ყაზბეგის „ქეთევან დედოფალი“, ოთარაანთ ქვრივი – ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ (გრიგოლ ბერძენიშვილის ინსცენირება), ვასა ჟელეზნოვა – მაქსიმ გორკის „ვასა ჟელეზნოვა“, იოკასტე – სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, სანათა – დავით გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით) და სხვ.

60-იან წლებში რუსთაველის სახელობის თეატრის ცხოვრებაში წინააღმდეგობრივი პროცესი იწყება. აქ თავი იჩინა შემოქმედებითი პროცესების სხვადასხვაობამ, შეიცვალა რეჟისორული პოზიცია, რეპერტუარში შემცირდა პეროიკულ-რომანტიკული პიესები. ასეთ პირობებში თამარ ჭავჭავაძე ვერ შეეგუა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედებაში მომხდარ ცვლილებებს. მკვეთრად შეიზღუდა მისი რეპერტუარი, მსახიობი იშვიათად მონაწილეობს თეატრის ცხოვრებაში. იგი იძულებული გახდა უფროსი თაობის ზოგიერთ მსახიობთან ერთად დაეტოვებინა რუსთაველის სახელობის თეატრი.

1964 წელს თამარ ჭავჭავაძე გადადის ს. ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართულ დასში, სადაც სულ რამდენიმე როლი ითამაშა. აქედან აღსანიშნავია დედა – გრიგოლ ბერძენიშვილის „მთაში ნათქვამი“, ხორეშანი – ოთარ ჩხეიძის „მამა თედორე“ და მისი ბოლო როლი მისის სევიჯი – ჯ. პატრიკის „უცნაური მისის სევიჯი“, სადაც კიდევ ერთხელ გამობრწყინდა თამარ ჭავჭავაძის სამსახიობო შესაძლებლობები.

თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხანუმას კინოფილმიდან „ქეთო და კოტე“ (რეჟისორები ვახტანგ ტაბლიაშვილი და შალვა გედევანიშვილი). ხანუმას სახის კლასიკურმა შესრულებამ განამტკიცა რწმენა იმისა, რომ თამარ ჭავჭავაძე კომედიური ხასიათის სახეთა დიდოსტატიც იყო. იგი ასევე გადაიღეს შემდეგ ფილმებში: „კომუნარის ჩიბუხი“, სადაც განასახიერა რევოლუციონერი ქალი და „ძინა ძაძუ“ – თავადის ქალი.

თამარ ჭავჭავაძის მრავალფეროვან შემოქმედებას ამშვენებდა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი გამოდიოდა ესტრადაზე, დაწესებულებებში, სამხედრო ნაწილებში, რადიოსა და ტელევიზიაში.

მეორე მსოფლიო ომის წლებში თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებამ პოლიტიკური აქტივობა და პუბლიცისტური ჟღერადობა შეიძინა. მსახიობს მხატვრული კითხვით მაღალი ხელოვნება მიჰქონდა მებრძოლებთან მრავალრიცხოვან ფრონტულ ბრიგადებში, სამხედრო-საშეფო კონცერტებზე. იყო ბრწყინვალე დეკლამატორი, იცოდა უამრავი ლექსი თუ მონოლოგი მხატვრული ნაწარმოებებიდან, ამიტომაც მის პირად საარქივო ფონდში, რომელიც დაცულია საქართველოს ხელოვნების სასახლეში (თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში), იგი იყო პოეტების მუზაც. მსახიობს ლექსებსაც უძღვნიდნენ: ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ლეონიძე და სხვები.

1945 წლის მაისში, მოსკოვში, სვეტებიან დარბაზში გამართულ ქართული პოეზიის საღამოზე გამოჩენილ ქართველ მწერლებთან და პოეტებთან ერთად თამარ ჭავჭავაძეც გამოდიოდა.

1948 წელს თამარ ჭავჭავაძე მონაწილეობდა ყოფილი საბჭოთა უკრაინის ოცდაათი წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულზე საქართველოდან წარგზავნილთა შორის პოეტ-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის, მომღერლების – ბათუ კრავეიშვილისა და ნადეჟდა ხარაძის გვერდით. სწორედ ამ დღესასწაულმა დაამეგობრა ცნობილ უკრაინელ მსახიობთან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ ნატალია უჟვასთან.

ქართველი საზოგადოება დიდად აფასებდა თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებას. სწორედ ამის დადასტურებაა მისი იუბილე 1947 წლის 19 მაისს, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა და მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს მიეძღვნა.

1961 წლის 23 იანვარს კიდევ ერთხელ უთხრეს მაღლობა მსახიობს და გადაუხადეს შემოქმედებით მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილე.

თამარ ჭავჭავაძე დაჯილდოებული იყო არაერთი ორდენით, წოდებითა და ქების სიგელით. 1934 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება, 1936 წელს დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, 1939 წელს დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელით, 1943 წელს დაჯილდოვდა მედლით „კავკასიის დაცვისათვის“, 1945 წელს მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ 1950 წელს კი დაჯილდოვდა იმდროისთვის უმაღლესი ჯილდოთი – „ლენინის ორდენით“.

1958 წელს მოსკოვში სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოუწყო შემოქმედებითი საღამო.

თამარ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1968 წლის 20 აპრილს. დაკრძალულია თბილისში, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თამარ ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თამარ ჭავჭავაძის რუსთაველის სახელმწიფო თეატრის პირადობის ბარათი.
1929 წ. 12 ნოემბერი. ტფილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. 1 ც.
2. თამარ ჭავჭავაძის თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატთა საბჭოს მანდატი.
1934 წ. 20 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე, ხელს აწერს ნივნივაძე, ბეჭედდასმული. 1 ც.
3. თამარ ჭავჭავაძის რევოლუციის მებრძოლთა დასახმარებელი საერთაშორისო ორგანიზაციის სანევრო ბილეთი.
1935 წ. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერენ ე. სტასოვა და იაჩიკი. 1 ც.
4. ამონაწერი ბრძანებიდან №268. რუსთაველის სახელობის თეატრის 10 წლისთავთან დაკავშირებით გამოფენის მომწყობი კომისიის ჩამოყალიბების შესახებ.
პირი: ნიკო გოცირიძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა გოცირელი, დიმიტრი ჯანელიძე, ნინო სინაურიძე.
1938 წ. 29 ნოემბერი. ხელს აწერს: თეატრის საქმეთა მმართველი ე. გურგენიძე. 1 გვ.
5. თამარ ჭავჭავაძისა და სტალინის სახელობის რაისაბჭოს საბინაო სამმართველოს შორის დადებული ხელშეკრულება.
1938 წ. სტამბური. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. 2 გვ.
6. საქართველოს რესპუბლიკური სამხედრო-საშეფო კომისიის წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა და სამხედრო გარნიზონის მეთაურთა მეუღლეების შეხვედრის შესახებ.
1939 წ. 14 მაისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარე ვენაძე და პოლიტხელმძღვანელი ვერგასოვი, დაზიანებული, 1 გვ.
7. თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის ფურცელი.
1939 წ. 22 ივნისი. სტამბური ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე, მელანი. ბეჭედდასმული. 4 გვ.
8. ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური კომიტეტის შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი, შემოქმედებითი საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით.
1940 წ. 26 იანვარი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერენ: ივ. გვინჩიძე და ვენაძე. 1 გვ.
9. ამონაწერი ბრძანებიდან №263. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრისადმი თამარ ჭავჭავაძისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ.
პირი: შ. ლამბაშიძე.
1940 წ. 4 სექტემბერი, ნაბეჭდი, ასლი, ბეჭედდასმული, 1 გვ.

10. **ბრძანება №278 კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრისადმი.**
 1. თამარ ჭავჭავაძის რეპეტიციაზე დაგვიანების შესახებ;
 2. თეატრის მთავარი ადმინისტრატორის პავლე პატარაიასთვის საყვედურის გამოცხადების შე-
 სახებ.
 1940 წ. 13 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს შ. აღსაბაძე. 1 გვ.
11. თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
 1940 წ. 3 ოქტომბერი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.
12. თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
 1940 წ. 3 ოქტომბერი. სტამბური. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერს თ. ჭავ-
 ჭავაძე, ბეჭედდასმული. დაზიანებული. 4 გვ.
13. თამარ ჭავჭავაძის სამედიცინო ბარათი.
 1940 წ. 15 ოქტომბერი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს: ფრანგულიანი.
 რუსულ ენაზე. 1 ც.
14. **ბრძანება №653.** ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი თამარ ჭავჭავაძისა და შაქრო გომე-
 ლაურისთვის საყვედურის გამოცხადების შესახებ.
 1940 წ. 31 დეკემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ბ. გოგუა. დაზიანებული. 1 გვ.
15. შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი. ინვევენს საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე-
 სთან ფილიპე მახარაძესთან შეხვედრაზე სიგელის მისაღებად.
 1941 წ. 15 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს: საქმეთა მმართველი ე. გუ-
 რგენიძე. 1 გვ.
16. მოსაწვევი ბილეთი. თამარ ჭავჭავაძეს ინვევენს №1420 საევაკუაციო ჰოსპიტალში
 პირი: კაჩალოვი, შევჩენკო, ტარხანოვი, კლიმოვი, კუზმინი, ა. ვასაძე, ა. ხორავა, თ. თუშიშვილი,
 გ. დავითაშვილი, შ. ღამბაშიძე, თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, ა. კვანტალიანი, შ.
 გომელაური, ვრუბლევსკაია, ბოდროვი, ბრაგინი, ა. წუნუნავა, ლ. კილაძე, დ. ბადრიძე, ვ. ჭაბუკი-
 ანი, ვ. დავიდოვა, ე. გვარამაძე, ლ. ისეცკი, დ. გამრეკელი, ი. სუხიშვილი, ა. შავერზადიშვილი.
 1942 წ. 8 იანვარი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ჰოსპიტალის უფროსი გ. თვალაძე,
 უფროსი პოლიტხელმძღვანელი გ. ბიბილეიშვილი, 1 გვ.
17. **ბრძანება №56.** ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი თამარ ჭავჭავაძის რუსთაველის სახე-
 ლობის თეატრში გადაყვანის შესახებ.
 პირი: ბ. გოგუა.
 1942 წ. 24 მარტი. ნაბეჭდი. ასლი. 1 გვ.
18. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წერილი თამარ
 ჭავჭავაძისადმი სამხედრო-საშეფო კონცერტის ჩატარებასთან დაკავშირებით.
 1943 წ. 20 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ივ. გვინჩიძე და გ. ვენაძე. 1 გვ.
19. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, პო-
 ეტ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსა-
 ნიშნავ საღამოზე მონაწილეობის შესახებ.
 1943 წ. 20 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს საქართველოს მწერლების კავშირის პრეზი-
 დიუმის პასუხისმგებელი მდივანი ირაკლი აბაშიძე. 1 გვ.
20. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და ცენტრა-
 ლური სამხედრო-საშეფო კომისიის წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი მსახიობის შემოქმედებითი
 საღამოს ჩატარების შესახებ.
 1945 წ. 2 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს შესტოვი. 1 გვ.
21. თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
 1946 წ. 20 სექტემბერი. სტამბური. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. ტუში.
 ერთვის ფოტო. 4 გვ.

22. **თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.**
1946 წ. 23 სექტემბერი. ავტოგრაფი. ტუშა. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 2 გვ.
23. მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოსა და რესპუბლიკური სამხედრო საშეფო კომისიის ოფიციალური მიმართვა თამარ ჭავჭავაძისადმი, სამთავრობო კონცერტზე დასწრებასთან დაკავშირებით.
1946 წ. 15 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკი. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე შესტოვი. 1 გვ.
24. თამარ ჭავჭავაძის – რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მსახიობის პირადობის მონმობა.
1947 წ. 19 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. ბეჭდია-ნი. 1 ც.
25. საქართველოს რადიოკომიტეტის კოლექტივის მისალოცი წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
1947 წ. 19 მაისი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. დაზიანებული. 1 გვ.
26. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის პ. მურღულიას თხოვნა მოსკოვის კამერული თეატრის მთავარ ადმინისტრატორ ლევინისადმი, რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობების სპექტაკლზე დასწრებასთან დაკავშირებით. მეორე გვერდზე ჩამოთვლილია მოსკოვში ნანახი სპექტაკლები.
პირი: თამარ ჭავჭავაძე, მელაძე, თავზარაშვილი.
1947 წ. 27 ივნისი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს პ. მურღულია. მელანი. ფანქარი. 2 გვ.
27. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თელავის რაიონული კომიტეტის შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი, თელავში ტრადიციულ „ილიას საღამოზე“ დასწრებასთან დაკავშირებით.
1947 წ. 7 ივნისი. თელავი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს ვ. პაატაშვილი. 1 გვ.
28. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის დახასიათება.
1947 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი რ. შადური. 2 გვ.
29. საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო ჯარების პოლიტგანყოფილების შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი, საიუბილეო კონცერტზე მიწვევასთან დაკავშირებით.
1947 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: გ. ვენაძე. მ. სტაროდუბცევი. 1 გვ.
30. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს რ. შადურის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის დახასიათება.
პირი: ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი რ. შადური.
1948 წ. 29 მაისი. ნაბეჭდი. ბლანკი. ასლი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
31. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი პოეტ სანდრო შანშიაშვილის საიუბილეო საღამოზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1948 წ. ბლანკი. ბეჭედი. ხელნაწერი. ხელს აწერენ: საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ლეონიძე, მდივანი გიორგი შატბერაშვილი. 1 გვ.
32. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექციის თხოვნა თამარ ჭავჭავაძისადმი, საკავშირო დათვალიერებაზე წარსადგენი პიესა „ვარდოს“ განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1949 წ. 13 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი – ა. ჩხარტიშვილი. 1 გვ. ბლანკის უკანა მხარეს თ. ჭავჭავაძის ხელნაწერი იოსებ ნონეშვილის ლექსი „ვაჩნაძიანთ ტურფა ქალო“.

33. **კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექციის თხოვნა თამარ ჭავჭავაძისადმი**, საკავშირო დათვალერებაზე წარსადგენი პიესის „განწირულთა შეთქმულების“ განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1949 წ. 13 ივნისი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერს: კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი – ა. ჩხარტიშვილი. 1 გვ. ბლანკის უკანა მხარეს თ. ჭავჭავაძის ხელნაწერი გიორგი ლეონიძის ლექსი „ნატო ვაჩნაძეს“.
34. საქართველოს სოცუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერთა ურთიერთდახმარების სალაროს თავმჯდომარის ს. გაბიევის შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი, კონცერტში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
1950 წ. 1 აგვისტო. შტამპი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ს. გაბიევი, დ. ნერგაძე. 1 გვ.
35. თამარ ჭავჭავაძის რუსთაველის სახელობის თეატრის პირადობის მონმოზა.
1950 წ. 30 აგვისტო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. ბეჭედდასმული. ხელს აწერს აკ. ხორავა. 1 ც.
36. თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950 წ. 11 ნოემბერი. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 4 გვ.
37. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი დახასიათება.
1950 წ. 13 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ს. ადამია, აკ. ვასაძე. 2 გვ.
38. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია. თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივნის სერგო გერსამიას მინაწერით თ. ჭავჭავაძის დაბადების თარიღის შესახებ.
1951 წ. 26 აპრილი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერს სერგო გერსამია. 1 გვ.
39. თამარ ჭავჭავაძის საქართველოს თეატრალური საზოგადოების სანევრო ბილეთი.
1951 წ. 1 ნოემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერენ: შალვა დადიანი, ეთერ ეგაძე. 1 ც.
40. რესპუბლიკური სამხედრო-საშეფო კომისიის შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი სამხედრო-საშეფო კონცერტში მინვევის შესახებ.
1952 წ. 29 აპრილი. შტამპი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს საქართველოს სსრ სამხედრო-საშეფო კომისიის თავმჯდომარე გ. ვენაძე. 1 გვ.
41. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტისა და ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ ჭავჭავაძისადმი, სანიმუშო საშეფო მუშაობასთან დაკავშირებით.
1952 წ. 15 ივნისი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: ნ. ბესპალოვი, ნ. გავრილოვი. 1 ც.
42. თამარ ჭავჭავაძის რუსთაველის სახელობის თეატრის პირადობის მონმოზა.
1952 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. ბეჭდიანი. 1 ც.
43. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი დახასიათება.
პირი: ს. ადამია – რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორის მოადგილე, აკ. ვასაძე – რუსთაველის სახელობის თეატრის მთავარი რეჟისორი.
1953 წ. 29 აგვისტო. ნაბეჭდი. ასლი. ბეჭედდასმული. დამონმებულია შ. რუსთაველის სახელობის თეატრის კადრების ინსპექტორის მიერ (გვარი არ იკითხება). რუსულ ენაზე. 1 გვ.
44. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
1954 წ. 29 იანვარი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 2 გვ.

45. **თამარ ჭავჭავაძის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.**
1954 წ. 29 იანვარი. სტამბური. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. ერთვის ფოტო. 4 გვ.
46. რუსთაველის სახელობის თეატრის დირექციის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის დახასიათება.
1954 წ. 2 თებერვალი. ნაბეჭდი. ბლანკი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თეატრის დირექტორი აკაკი ხორავა. 3 გვ.
47. საქართველოს უზუცესი მსახიობების განცხადება საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვასილ მუჟაანაძისადმი, საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილების შესახებ.
პირი: თამარ ჭავჭავაძე, ლექსო მეტრეველი, ბაბო როსტომაშვილი, ნუნუ მაჭავარიანი, ტასო ერისთავი, ელიზბარ იმერლიშვილი, თამარ ჩიჯავაძე, ნინა ბაქრაძე, სოფიო ყოჩიაშვილი.
1954 წ. 20 მარტი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 1 გვ.
48. ხელოვნების მუშაკთა ცენტრალური პროფესიული კავშირის კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გაცემული საპატიო სიგელი თამარ ჭავჭავაძისადმი, საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის შესახებ.
1954 წ. 29 მაისი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
49. ამონაწერი ბრძანებიდან №50 შ. რუსთაველის სახელობის თეატრისადმი თამარ ჭავჭავაძისთვის მაღლობის გამოცხადების შესახებ.
პირი: თ. ბაქრაძე, გ. სალარაძე, სტ. ჯაფარიძე, გ. კიკნაძე, ივ. ჯავახიშვილი, აკ. ხორავა.
1954 წ. 22 ივნისი. ნაბეჭდი. ასლი დამოწმებულია საქმეთა მმართველ ჩიჩუას მიერ. 1 გვ.
50. კულტურის მუშაკთა ცენტრალური პროფესიული კავშირის კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის საპატიო სიგელი, საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის შესახებ.
1955 წ. 1 მარტი. მოსკოვი. სტამბური. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
51. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის სიგელი, კულტურულ-საშეფო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობის შესახებ.
1955 წ. 16 აპრილი. სტამბური. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 ც.
52. ამონაწერი ბრძანებიდან №57 რუსთაველის სახელობის თეატრისადმი თამარ ჭავჭავაძისთვის მაღლობის გამოცხადების შესახებ.
პირი: პ. კანდელაკი.
1955 წ. 5 მაისი. ნაბეჭდი. ასლი დამოწმებულია. ბეჭედდასმული. 1 გვ.
53. შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დირექციის მიერ გამოცხადებული მაღლობა თამარ ჭავჭავაძისადმი.
1956 წ. 12 იანვარი. ბლანკი. ხელს აწერს ინსტიტუტის დირექტორი ი. თავაძე. ნაბეჭდი. 1 გვ.
54. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, კოტე მარჯანიშვილთან დაკავშირებული სამუზეუმო მასალის ყვარლის სახლ-მუზეუმისთვის გადაცემის შესახებ.
1957 წ. 21 მარტი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს: კულტურის სამმართველოს უფროსი ი. ახვლედიანი. 1 გვ.
55. ბრძანება №406 რუსთაველის სახელობის თეატრისადმი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით ამავე თეატრში შექმნილი კომისიის შემადგენლობის შესახებ.
პირი: აკ. ვასაძე, თ. ჭავჭავაძე, დ. ალექსიძე, დ. თავაძე, ალ. აფხაიძე, ვ. კიკნაძე, ნ. ჩხეიძე, კ. მახარაძე, ბ. კობახიძე.
1957 წ. 4 სექტემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ.
56. თამარ ჭავჭავაძის სამკერდე ნიშნის დამადასტურებელი წიგნაკი „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების კულტურული შეფობის წარჩინებული“.
1960 წ. 29 თებერვალი. მოსკოვი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

57. **თამარ ჭავჭავაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი ქალთა** საერთაშორისო დღის 8 მარტის ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და კულტურის და-რგში მიღწეული წარმატებისთვის.
1960 წ. 7 მარტი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერენ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – გ. ძონენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – ზ. გელდიაშვილი. 2 გვ.
58. თამარ ჭავჭავაძის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბილეთი.
1960 წ. სტამბური. ხელნაწერი. რუსულ და ქართულ ენებზე. 1 ც.
59. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის საპატიო სიგელი, დაბადებიდან 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილესთან დაკავ-შირებით.
1961 წ. 23 იანვარი. სტამბური. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს საქართველოს უსინათლო-თა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გაჩეჩილაძე. 1 გვ.
60. საბჭოთა არმიის თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლის დირექციის მიერ გაცემული თამარ ჭავ-ჭავაძის სიგელი დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.
1961 წ. 23 იანვარი. თბილისი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.
61. აჭარის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემუ-ლი თამარ ჭავჭავაძის საპატიო სიგელი.
1962 წ. 15 აგვისტო. ბათუმი. სტამბური. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. ხელს აწერენ: აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე – რ. კომახიძე, აჭარის ასსრ უმა-ღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი – გ. მაზმანიშვილი. ბეჭედდასმული. 1 ც.
62. ამონაწერი ბრძანება №13-დან რუსთაველის სახელობის თეატრისადმი.
1. თამარ ჭავჭავაძის თეატრიდან გათავისუფლებისა და პერსონალური პენსიის დანიშვნის შესახებ.
2. რუსთაველის სახელობის თეატრში შტატების შემცირების შესახებ.
პირი: ნ. კიტია.
1962 წ. 21 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. ასლი. 1 გვ.
63. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეტყობინება თამარ ჭავჭავაძი-სადმი პენსიის გაზრდასთან დაკავშირებით.
1963 წ. 25 თებერვალი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს სამინისტროს პენსიონერთა სექტორის გამგე ა. გაჩეჩილაძე. 1 გვ.
64. რუსთაველის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის მოწმობა.
1962 წ. 31 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. ბეჭედდასმუ-ლი. ხელს აწერს დ. ანთაძე. 1 ც.
65. უკრაინის რადიოს ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, თ. ჭავჭავაძის ლექსებისა და მოთხრობების ჩანაწერების მიღებასთან დაკავშირებით.
1963 წ. 1 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს უკრაინის რადიომაუწყებლო-ბის ლიტერატურისა და დრამატული გადაცემების მთავარი რედაქტორი ლ. კუზმინა. 1 გვ.
66. კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის პ. კანდელაკის ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ბიბლიოთეკის სპეცია-ლური მუდმივი ბილეთის გაცემის შესახებ.
1963 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. ბლანკი. ხელნაწერი. ხელს აწერს ბიბლიოთეკის დირექტორი – პ. კანდელაკი. 1 გვ.
67. თამარ ჭავჭავაძის საქართველოს თეატრალური საზოგადოების სანევრო ბილეთი.
1963 წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ქართულ და რუსულ ენებზე. ბეჭედდასმული. ხელს აწე-რენ: დ. ანთაძე, დ. ჩხეიძე. 1 ც.

68. **მადლობა თამარ ჭავჭავაძისადმი სანატორიუმში ჩატარებული წარმატებული კონცერტისთვის.**
1963 წ. ხელნაწერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.
69. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრების საინგილოში გამგზავრების შესახებ.
პირი: ს. მთვარაძე.
1965 წ. 1 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. 1 გვ.
70. თამარ ჭავჭავაძის სამედიცინო ბარათი.
1966 წ. 20 ივლისი. სტამბური. ხელნაწერი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ზ. ნემსაძე. 1 ც.
71. თამარ ჭავჭავაძის განცხადება სოხუმის სახელმწიფო თეატრის დირექტორის დარსანიასადმი, პირადი საქმის გადასინჯვისა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ.
1966 წ. 12 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 1 გვ.
72. თამარ ჭავჭავაძის ოფიციალური წერილი საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრ ეკატერინა ფურცევასადმი, რუსთაველის სახელობის თეატრიდან დათხოვნასთან დაკავშირებით.
1968 წ. 12 თებერვალი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 6 გვ.
73. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
74. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 2 გვ.
75. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 1 გვ.
76. თამარ ჭავჭავაძის ანკეტა.
უთარილო. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 2 გვ.
77. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 2 გვ.
78. თამარ ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
79. თამარ ჭავჭავაძის დახასიათება, ბიოგრაფია და ანკეტური მონაცემები.
პირი: აკ. ხორავა, ი. დოლიძე.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ასლი. 8 გვ.
80. თამარ ჭავჭავაძის ცნობა.
უთარილო. სტამბური. ავტოგრაფი. ლურჯი მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
81. საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის დახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. წითელი ფანქრით მინაწერი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს საქართველოს კულტურის მინისტრი ა. გუნია. 3 ეგზ. არასრული. 3 გვ.
82. ხელოვნების სამმართველოს დირექციის მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის მოკლე დახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. მელანი.
83. თამარ ჭავჭავაძის ბიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ხელს აწერენ: თამარ ჭავჭავაძე, ლიკა ჭავჭავაძე. მელანი. 2 გვ.
84. თამარ ჭავჭავაძის ბიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. დაზიანებული. 2 გვ.

85. **თამარ ჭავჭავაძის ბიოგრაფია.**
უთარილო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
86. თბილისის №556 საარჩევნო უბნის მადლობა თამარ ჭავჭავაძისადმი.
უთარილო. ნაბეჭდი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. ხელს აწერს საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი. 1 გვ.
87. საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი კულტსაგან-მანათლებლო დაწესებულებებში არსებული მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობაში კონსულტაციის განწევასთან დაკავშირებით.
უთარილო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი სერგო გერსამია. 1 გვ.
88. რუსთაველის თეატრის დირექციის შეტყობინება თამარ ჭავჭავაძისადმი, ახალგაზრდა მსახიობებთან საუბრის გამართვასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. ხელს აწერს თეატრის დირექტორი – პ. მურდულია. 1 გვ.
89. თამარ ჭავჭავაძის საქართველოს თეატრალური საზოგადოების სანევრო ბილეთი.
უთარილო. ნაბეჭდი. ხელნაწერი. მელანი. ბეჭედდასმული. ხელს აწერს შალვა დადიანი, დავით ჩხეიძე. 1 ც.
90. სოხუმის საქალაქო დეპუტატთა საბჭოს მიერ გაცემული თამარ ჭავჭავაძის მოწმობა.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბეჭედდასმული. ხელს აწერს ი. კვინინია. 1 ც.
91. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ოფიციალური წერილი თამარ ჭავჭავაძისადმი, შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. ბლანკი. 1 გვ.
92. ს. ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორის ნელი ეშბას ოფიციალური შეტყობინება ელენე ჭავჭავაძისადმი, დედის ნივთების წამოსაღებად ჩასვლასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ბლანკი. 1 გვ.

შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

93. თამარ ჭავჭავაძე კოტე მარჯანიშვილის შესახებ. დაწერილია რეჟისორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.
[1933 წ.]. ავტოგრაფი. არასრული, მელანი. დაზიანებული. 1 გვ.
94. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა „შრომის წითელი დროშის“ ორდენის მიღებასთან დაკავშირებით.
1936 წ. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.
95. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა, საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავთან დაკავშირებით ეროვნული კულტურის განვითარების შესახებ.
[1936 წ.]. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. ფანქარი. დაზიანებული. 2 გვ.
96. თამარ ჭავჭავაძის მოხსენება თავისი შემოქმედების შესახებ საბჭოთა არმიის მეომრებთან შეხვედრის დროს.
1947 წ. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. ფანქარი. 22 გვ.
97. თამარ ჭავჭავაძის მისასალმებელი სიტყვა საბჭოთა ქალების სახელით მშვიდობისადმი მიძღვნილ მიტინგზე. სიტყვა მთავრდება მოლდაველი პოეტის პ. კრუჩინიუკის ლექსით.
1949 წ. 2 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

98. **თამარ ჭავჭავაძის შესავალი სიტყვა მწერალი ქალის მარიჯანის სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე.**
პირი: ი. გრიგალაშვილი, პ. ბომარშე, ნ. ბოგოდინი, ბ. შოუ, ალიგიერი.
1957 წ. 11 მარტი. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. მეღნიტ ნაწერი. 2 გვ.
99. **თამარ ჭავჭავაძისა და შალვა ჯინჭველაშვილის მხატვრული ნარკვევი „ნადირთ მეფეთა მეფე-მბძანებელი“.**
ნარკვევს ერთვის თ. ჭავჭავაძისა და შ. ჯინჭველაშვილის განცხადება საქართველოს სსრ საბლიტგამის დირექტორისადმი. ითხოვენ ნარკვევის საგამომცემლო გეგმაში შეტანას.
1960 წ. ნაბეჭდი. მხატვრულად გაფორმებული. ხელს აწერენ: თ. ჭავჭავაძე, შ. ჯინჭველაშვილი. 2 გვ.
100. **თამარ ჭავჭავაძის წარმოთქმული სიტყვა ყვარელში, კოტე მარჯანიშვილის დაბადების 90 წლისთავზე.**
1962 წ. 20 ნოემბერი. ხელნაწერი. ტუში. 2 გვ.
101. **თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (ავტობიოგრაფია).**
უთარილო. ავტოგრაფი. მეღანი. არასრული. აკლია 7-8, 29-34 გვერდები.
102. **თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (ავტობიოგრაფია).**
უთარილო. ფანქარი. რუსულ ენაზე. ტუში. მეღანი. დაზიანებული. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. 19 გვ.
103. **თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა (ავტობიოგრაფია).**
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. აკლია პირველი გვერდი. 1 გვ.
104. **თამარ ჭავჭავაძის შემოქმედებითი დახასიათება და შესრულებული როლები.**
პირი: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, ემელიან აფხაიძე.
უთარილო. ხელნაწერი. ნაბეჭდი. მეღანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
105. **თამარ ჭავჭავაძის მიერ შესრულებული როლების ჩამონათვალი.**
უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ და რუსულ ენებზე. ნაბეჭდი. ფანქარი. მწვანე, შავი მეღანი. დაზიანებული. 24 გვ.
106. **თამარ ჭავჭავაძის მიერ შესრულებული როლების ჩამონათვალი.**
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელს აწერს თ. ჭავჭავაძე. 8 გვ.
107. **თამარ ჭავჭავაძის გამოსვლა რადიოში. კახეთში გატარებულ ბავშვობაზე, შემოქმედებით მოღვაწეობასა და მოსკოვში სტალინთან შეხვედრასთან დაკავშირებით.**
პირი: კოტე მარჯანიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, ლოპე დე ვეგა, სტალინი.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. არასრული. 4 გვ.
108. **თამარ ჭავჭავაძის რადიომიმართვა ქალაქ ლენინგრადის მოსახლეობისადმი.**
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 1 გვ.
109. **თამარ ჭავჭავაძის მიერ ადგილობრივ საბჭოებში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.**
უთარილო. ავტოგრაფი. მეღანი. 5 გვ.
110. **თამარ ჭავჭავაძის მოხსენება საბჭოთა არმიის მეომრებისთვის თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.**
პირი: ილია ჭავჭავაძე, კოტე მარჯანიშვილი, ლებედინსკი, ნესტორ მახნო, სიმონ პეტლიურა, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, იოსებ სტალინი.
უთარილო. ნაბეჭდი. თ. ჭავჭავაძის მინაწერებით. რუსულ ენაზე. არასრული. 6 გვ.
111. **თამარ ჭავჭავაძის მოხსენება „დიდი ქართველი რეჟისორი“ – კოტე მარჯანიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.**
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. მეღანი. 24 გვ.

112. **თამარ ჭავჭავაძე კოტე მარჯანიშვილის შესახებ.**
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. დაზიანებული. 6 გვ.
113. თამარ ჭავჭავაძე კოტე მარჯანიშვილის შესახებ. კ. მარჯანიშვილის ბიოგრაფია.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 3 გვ.
114. თამარ ჭავჭავაძე კოტე მარჯანიშვილის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. დაზიანებული. 4 გვ.
115. თამარ ჭავჭავაძე კოტე მარჯანიშვილთან მუშაობის შესახებ (სპექტაკლ „ცხვრის წყაროს“ პირველი რეპეტიცია).
უთარილო. ნაბეჭდი. ჩასწორებული. 3 გვ.
116. თამარ ჭავჭავაძე „ახალი მწვერვალებისკენ“ (რუსთაველის სახელობის თეატრის შესახებ).
პირი: კოტე მარჯანიშვილი
უთარილო. ნაბეჭდი. დაზიანებული. ქართულ ენაზე. 1 გვ.
117. თამარ ჭავჭავაძე ნატალია უფვის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
118. თამარ ჭავჭავაძე ეკატერინა სატინას შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.
119. თამარ ჭავჭავაძე მოსკოვში ქართული მუსიკალური დეკადის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
120. თამარ ჭავჭავაძე სახალხო არტისტის ელენა გოგოლეცას შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფანქრით. 3 გვ.
121. თამარ ჭავჭავაძე მსახიობ გარი ბეროიანის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 1 გვ.
122. თამარ ჭავჭავაძე მსახიობის დღის – 14 იანვრის (თეატრის დღე) შესახებ.
პირი: კოტე მარჯანიშვილი
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.
123. თამარ ჭავჭავაძე აკაკი ფალავას შესახებ.
პირი: მიხეილ ჭიაურელი.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
124. თამარ ჭავჭავაძე აკაკი ხორავას შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. არასრული. ფანქარი. 2 გვ.
125. თამარ ჭავჭავაძე თეატრის შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 გვ.
126. თამარ ჭავჭავაძე სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების შესახებ.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 2 ეგზ. 4 გვ.
127. თამარ ჭავჭავაძის მიმართვა სტალინისადმი.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. დაზიანებული. 2 გვ.
128. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით თამარ ჭავჭავაძის მისალმება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის თეატრალური საზოგადოების გაერთიანებულ სესიაზე.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. ტუში. რუსულ ენაზე. 5 გვ.

129. **თამარ ჭავჭავაძის მიმართვა ბავშვებისადმი 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით.**
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
130. თამარ ჭავჭავაძის მიმართვა ესპანელი ქალებისადმი, მოუწოდებს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებს, რომ ერთი სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ ითამაშონ ესპანელი ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. მელანი. 2 გვ.
131. თამარ ჭავჭავაძის მიმართვა მოზარდი თაობისადმი.
ავტოგრაფი. უთარილო. მელანი. 2 ეგზ. 3 გვ.
132. თამარ ჭავჭავაძის მისალმება სოხუმის თეატრის გასტროლების დროს აჭარელი მაცურებლებისადმი.
პირი: კოტე მარჯანიშვილი.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 2 გვ.
133. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა გიორგისადმი (გვარი მითითებული არ არის) სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
134. შ. რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით თამარ ჭავჭავაძის მილოცვის ტექსტი დავით ანდლულაძის დაბადების 50 და სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. ქართულ ენაზე. 1 გვ.
135. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა დავით მალიანის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
136. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით ნიკო გოცირიძისადმი მსახიობის შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. მელანი. 4 გვ.
137. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტისადმი.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
138. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა მერაბ ხინიკაძისა და იუსუფ კობალაძისადმი. მსახიობმა მილოცვა წაიკითხა თეატრალურ საზოგადოებაში გამართულ შემოქმედებით საღამოზე.
პირი: შალვა დადიანი.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
139. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა ლავრენტი [ციცავისადმი]. მილოცვით თ. ჭავჭავაძე გამოვიდა თეატრალურ საზოგადოებაში მსახიობის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
140. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა ვაგრამ ფაფაზიანისადმი სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.
141. თამარ ჭავჭავაძის მილოცვა ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თეატრების ქალი მსახიობებისადმი.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.
142. საქართველოს კულტურის მუშაკთა სახელით თამარ ჭავჭავაძის მილოცვა საბჭოთა სასაზღვრო ჯარებისადმი. ამ მილოცვით მსახიობი გამოვიდა თბილისის ოფიცერთა კლუბში საბჭოთა სასაზღვრო ჯარების 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

143. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვა შრომის გმირებთან შეხვედრის დროს.**
უთარილო. არასრული. ავტოგრაფი. მელანი. 1 გვ.
144. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა კოტე მარჯანიშვილის შესახებ წარმოთქმული ყვარელში სტუმრობის დროს.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.
145. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ზესტაფონში მისი შემოქმედების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. არასრული. 1 გვ.
146. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა არჩვენებთან დაკავშირებით. ფურცლის მეორე მხარეს ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსი.
პირი: იოსებ სტალინი, კანდიდ ჩარკვიანი.
უთარილო. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
147. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა, ყვარელში წარმოთქმული.
უთარილო. ავტოგრაფი. ქართულ ენაზე. ლურჯი მელანი. 1 გვ.
148. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ქალაქ გორში კულტურის უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. ფანქარი. 1 გვ.
149. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა პირველი მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით.
უთარილო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. ფანქრით. 1 გვ.
150. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა, წარმოთქმული აფხაზეთის მაცურებელთან შეხვედრის დროს.
უთარილო. ფანქრით. ავტოგრაფი. დაზიანებული 2 გვ.
151. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა მაცურებლისადმი.
პირი: ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, კოტე მარჯანიშვილი.
უთარილო. ავტოგრაფი. დაზიანებული. 2 გვ.
152. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ელისაბედ ჩერქეზიშვილის გარდაცვალების გამო.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, ტუში, დაზიანებული, 2 გვ.
153. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის სახელით თამარ ჭავჭავაძის სამძიმრის სიტყვა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის არ. მამიკონიანის გარდაცვალების გამო.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, ქართულ ენაზე, 1 გვ.
154. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ქალიშვილისადმი წარმოთქმულ პიონერთა სასახლეში ჩატარებული საბავშვო ზეიმის დროს.
უთარილო, ავტოგრაფი, ფანქარი, 1 გვ.
155. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეებისადმი.
უთარილო, ავტოგრაფი, დაუსრულებელი, რუსულ ენაზე, ფანქარი, 2 გვ.
156. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეებისადმი.
უთარილო, დაზიანებული (მელანი გამქრალია), ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 გვ (1 გვერდი მელნით, მეორე – ფანქრით).
157. თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ნინო დავითაშვილის დაკრძალვაზე.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, დაზიანებული, 2 გვ.
158. თამარ ჭავჭავაძის მისასალმებელი სიტყვა ელისაბედ ჩერქეზიშვილისადმი.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, 2 გვ.

159. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვა მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეები-სადმი.**
უთარილო, ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, მელანი, 1 გვ.
160. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვა მსოფლიოში მშვიდობის შესახებ.**
უთარილო, ავტოგრაფი, ფანქარი, 1 გვ.
161. **თამარ ჭავჭავაძის მისასალმებელი სიტყვა (იოსებ სტალინის შესახებ).**
უთარილო, ხელნაწერი, მელანი, რუსულ ენაზე, 2 გვ.
162. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვა, წარმოთქმული კოტე მარჯანიშვილის სამოქალაქო პანაშვიდზე.**
უთარილო, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, მელანი, დაზიანებული, 8 გვ.
163. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვები წარმოთქმული უკრაინელ კოლეგებთან შეხვედრის დროს.**
უთარილო, ავტოგრაფი, ქართულ და რუსულ ენებზე, 17 გვ.
164. **თამარ ჭავჭავაძის სიტყვა ახალგაზრდა კადრების შესახებ.**
უთარილო, ავტოგრაფი, დაუსრულებელი, ფანქარი, დაზიანებული, 4 გვ.
165. **თამარ ჭავჭავაძის „განცდა, რომელიც სიტყვებით არ გამოითქმის“. ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღება კრემლში და იოსებ სტალინთან შეხვედრის შესახებ. 1936 წ.**
პირი: ს. ორჯონიკიძე, მოლოტოვი, კალინინი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ვოროშილოვი, ჩუბარი, ანდრეევი.
უთარილო, ავტოგრაფი, ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, დაზიანებული, მელანი, ნითელი და შავი ფანქრით ჩასწორებული, დაუსრულებელი, 7 გვ.
166. **თამარ ჭავჭავაძის „განცდა, რომელიც სიტყვებით არ გამოითქმის“. ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღება კრემლში და იოსებ სტალინთან შეხვედრის შესახებ, 1936 წ.**
პირი: ს. ორჯონიკიძე, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჩუბარი, ანდრეევი, რუძუტაკი, გიორგი ლეონიძე.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, დაზიანებული, 6 გვ.
167. **თამარ ჭავჭავაძის „განცდა, რომელიც სიტყვებით არ გამოითქმის“. ქართული ხელოვნების დეკადის მონაწილეთა მიღება კრემლში და იოსებ სტალინთან შეხვედრის შესახებ, 1936 წ.**
პირი: ს. ორჯონიკიძე, მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ჩუბარი, ანდრეევი, რუძუტაკი, გიორგი ლეონიძე.
უთარილო, ავტოგრაფი, მელანი, ნითელი ფანქრით ჩასწორებული, 4 გვ.
168. **თამარ ჭავჭავაძის ლექსების რვეული.**
